# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 79 კვირა, 12 აპრილი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით —5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა მეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდამ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ღამით საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზავს. ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


წარმოდგენა № 11. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 11.

ხუთშაბათს, 16 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქართულ სცენაზე **პირველად ახალი პიესა**

ლეონიდ ანდრეევისა.

ბენეფისი მარო მდივანისა

## დღენი ჩვენი ცხოვრებისა

(სტუდენტის სიყვარული)

დრამა 4 მოქმედებად თარგ. დ. ელიოზიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი..

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე.**

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

## მაისის პირველ რიცხვებში მუშტაიდის ბაღში

გაიმართება

## დიდი სახალხო სეირნობა და საქველმოქმედო ბაზარი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურობის ქარვასლა), ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლგას ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ექვსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილებ დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცამესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. შანავასთან. (23—121—15)

„დროების" და „ტიფ. ლისტოკის" ერთ-ერთ ნომერში ამას წინად გამოცხადებული იყო: ვინაიდან ს. გაჩეჩილაძემ, ბ. თოროზოვმა და ი. ბახტაძემ ფული არ ჩაგვაბარეს, ამიტომ ადგილების მყიდველნი პირდაპირ ჩვენთან მოვიდნენ და ადგილები დაიმტკიცონო და სხვ. ამას აცხადებდნენ დელისის მემამულენი ალ. და კოლ. გაბაშვილები. იმ კითხვის ასახსნელად: აქვთ თუ არა მიღებული ფული გაბაშვილებს და, საზოგადოდ, ჩვენ შორის ანგარიშების გასასწორებლად, ვიწვევთ სამედიატორო სამართალში ორივე ძმებს. ვადას ვაძლევთ ექვს დღეს და ვთხოვთ გაზეთის საშუალებით გაგვცენ პასუხი: სურთ თუ არა საამხანაგო სამართალი და თუ სურსთ, სად და როდის შევიყაროთ თავი მედიატორების ასარჩევად და სხვა.

(1—201—1) პატივისცემით **ს. გაჩეჩილაძე, ბ. თოროზოვი, ი. ბახტაძე.**

## ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა

აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ **წლიური საზოგადო კრება,** ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 5 აპრილს არ შესდგა საჭირო წევრთა დაუსწრებლობისა გამო, **დანიშნულია აპრილის 19-სათვის,** დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქ., სახ. სარაჯიშვილისა).

**განსახილველია:**

1. 1908 წლის მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მოხსენებით;
2. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1909 წლისათვის;
3. ახალ წევრთა მიღება. რადგან ეს კრება განმეორებითია—კანონიერად შედგენილად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს საზოგადოების წევრთ საწევრო გადასახადი დროზედ შემოიტანონ. (3—6.—1)

## ბიურო

## კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა

ტფილისში (ალექსანდრეს ბაღი)

**ჰყიდის წელს**

## შაბიამანსა და გოგირდს

მხოლოდ უმაღლეს ხარისხისას. (4—180—2)

## ომში დაჭრილთა და დაშავებულთა საყურადღებოდ

სამხედრო გაზეთის „კავკაზსკაია არმიას" რედაქტორი ბ-ნ ს. ესამე სთხოვს ყველა დაშავებულ, დაჭრილს, ავადმყოფსა და საზოგადოდ ყველა იმას, რომელმაც ომში ყოფნის გამო დაჰკარგა შრომის უნარი, აგრეთვე იმ ოჯახებს, რომელთაც ომში მოუკლეს ან კვალ-წმინდად დაჰკარგეს წევრი ოჯახისა, წარმოადგინონ რედაქციაში ქვემოდ მოყვანილი დაწვრილებითი ცნობები:

1. დაშავებულის გვარი, სახელი და მამის სახელი:
2. წოდება და ცნობა, თუ რომელ პოლკში მსახურებდა;
3. სადაურია და სადა სცხოვრობს ამ ჟამად (ქალაქი, საზოგადოება, სოფელი)
4. ოჯახური მდგომარეობა (ცოლი ჰყავს, უცოლოა, რამდენი შვილი ჰყავს);
5. სად მიიღო ჭრილობა ან სად დაშავდა (ექიმების მოწმობა);
6. რა საჩუქრები მიუღია;
7. კეთილ-საიმედობის მოწმობა,

ყველა ეს ცნობა საჭიროა ჯერ იმიტომ, რომ აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, დაჭრილსა და დაშავებულს დახმარება მიეცეს, და მეორე იმიტომ, რომ ითხოვენ დაჭრილებისა და დაშავებულების შვილები მიიღონ „ობოლთა თავშესაფარში" რომლის დაარსებაც განზრახულია ტფილისის მახლობლად. 5—6.—2)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხაროვსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდ-რონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—120)

**ექიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი** **ქუთაისში**

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუხუნატი, საშარდე მილის, პუშტის და სარკმელების ხატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—102)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—53)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—98)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 37)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნო, N 9. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—34)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—27)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 14, 17, 21 და 24 ამა აპრილს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც იჯარით გაიცემა ქალაქის ადგილები შენობის ასაგებად მე-7 ნაწილში, ტფილისში, რეიტერის ქუჩის ზემოთ. ყველამ, ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს, უნდა წარადგინოს ბე—20 მან.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მეთოხე განყოფილებაში ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე. (3—6.—3)

**12**-ს ამა აპრილს, დილის 12 საათზედ, დანიშნულია მეორე და უკანასკნელი კრება ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიის მრევლისა, ასარჩევად ეკლესიის მნათისა.

## დალაქების ამქრის

მამასახლისი აცხადებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ 6 აპრილს ჰქონდათ ოსტატებს კრება სახელოსნო გამგეობაში და დაადგინეს, რომ ყოველ კვირაობით უნდა გაიღოს სადალაქო დუქნები დილიდან ვიდრე პირველ საათამდის, მხოლოდ პატრონებს ნება არა აქვთ ძალად ამუშაონ ქარგლები. ქარგალი არის თავისუფალი.

მამასახლისი **გიორგი გიოშვილი.** (3—198—2)

## ტფილისი, 12 აპრილი

„ჩვენი საქმე" ერთობ გახარებულია: სათათბიროს ს.-დ. ფრაქციამ კეთილსაიმედობის მოწმობა მიიღო პოლონეთისა და ლიტვის ს.-დემოკრატიის მთავარ გამგეობისაგან. ამის გამო არც ჩვენ ავუხირდებით: ყველას აქვს უფლება, რითაც უნდა, იმით გაიხაროს; მაგრამ, ტყუილად ჰფიქრობს „ჩვენი საქმე", რომ მისთვის ესოდენ სასიხარულო დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს საკამათო საგნისათვის.

რას ამბობს ეს დოკუმენტი? არსებითად საგანზე თითქმის არაფერს; ის ცდილობს მხოლოდ ჩრდილი მიაყენოს ავსტრიის პარლამენტის პოლონელ ს.-დემოკრატების ჯგუფს, რისთვისაც ჩვეულებრივს ფრაზეოლოგიას მიჰმართავს. დაშინსკის დასი, თუმცა შედის ს.-დ. პარტიაში, მაგრამ, ყველამ იცის, რომ მას სოციალიზმთან არავითარი კავშირი არა აქვსო; დაშინსკი და მისი მეგობრებიც თურმე „წარმოადგენენ სოციალისტურ გამოცემას იმავე ნაროდოვცებისას და მცირეოდენი უფლებაც არა აქვთ დაიჩემონ პოლონეთის პროლეტარიატის სურვილ-შეხედულებათა გამოხატვა"-ო. დოკუმენტი მწარე ეპიტეტებს არ ზოგავს „კლუბის" წევრთა დასამცირებლად და სათათბიროს ფრაქციასაც ურჩევს—ნუ მოერიდებით მათ „სოც.-დემ." წოდებას და შესაფერის ზიზღით გაეცით პასუხიო. ერთია მხოლოდ საკვირველი: რათ შედის ესოდენ გაკოტრებული ჯგუფი ავსტრიის ს.-დ. პარტიაში? თუ დაშინსკის ჯგუფს საერთო არაფერი აქვს საერთო პროლეტარიატთან, თუ იგი სოციალისტური გამოცემაა ნაროდოვცებისა, თუ იგი შოვინიზმით გაჟღენთილია და რევოლიუციის დროს მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ პოლონელ პროლეტარიატისთვის თვალები აება, რალათ ეკუთვნის ეს დასი „ავსტრიის ს.-დ. დეპუტატთა საერთო ჯგუფს"? ეს როგორღაც გაუგებარია და, მეორეს მხრით, ძალიან საეჭვოც არის; —საეჭვოა, რომ პარტია, რომელიც ფანატიკურად იცავს „მთლიანობასა და სიწმინდეს" თავის რიგში ასეთ შოვინისტებსა და ნაროდოვცების მეორე გამოცემას მოითმენს. დოკუმენტი განმარტავს, რომ დაშინსკის ჯგუფი პ. პ. ს.-ის რევოლიუციონურ ფრაქციას ეკუთვნისო და თან დასძენს: ნუ აურევთ ერთმანეთში პ. პ. ს.-ის „ლევიცასა" და „რევოლ. ფრაქციასაო". ყველამ იცის, რას წარმოადგენენ, როდის და რატომ გაიყვნენ „პ. პ. ს.-ის" ეს ორი ფრაქცია. მათი პროგრამის თეორიული საფუძველი მარქსიზმია; არც თეორიულსა და არც პრაქტიკულს ნაწილებში განსხვავება რამ თვალსაჩინო და პრინციპიალური არა აქვთ; გაიყვნენ მხოლოთ იმის გამო, რომ ტაქტიკაში ვერ შეთანხმდნენ. და თუ „ლევიცას" ითმენს და იწყნარებს ავსტრიის ს.-დ., იმავ საბუთით მეორე ფრაქციაც უნდა შეიწყნაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იმას ეგვანება, რომ, ვთქვათ, გერმანიის ს.-დემოკრატიამ „ბოლშევიკები" იცნას თავისიანებად, „მენშევიკებს"-კი ხელი ჰკრას ან vice-versa. ბევრად უფრო ლოღიკურად იქცევიან პოლონელი ს.-დ., რომელნიც სიახლოვესაც არ იკარებენ პ. პ. ს.-ის მთელ პარტიას. ეს ერთი ფაქტია, რომელიც ეჭვებსა და „ნედორაზუმენიეს" ჰბადავს პოლონეთის და ლიტვის ს.-დ. წერილში. მეორე... მაგრამ განა მეორეზე ღირს ლაპარაკი? არ ახალია, ძველია, რომ ს.-დ. მხოლოდ თავის თავს სცნობენ ჭეშმარიტ სოციალისტებად, სხვას ყველას-კი ხალხის მატყუარებად და „სამოზვანცებად". ეს დაჟანგებული და გაცვეთილი ხერხი ყოველ ქვეყნის ს.-დ. და მათ შორის პოლონეთისასაც აქვს შენახული არსენალში და გაჭირვების დროს გამოათრევენ ხოლმე...

მაგრამ, ამაებს თავი დავანებოთ და ვიკითხოთ: როგორ და რით გაამართლეს პოლონელ ამხანაგებმა სათათბიროს ფრაქციის ვოტუმი? მათი წერილი ამ სადავო საკითხს ძალიან ნაკლებად ეხება, ჩვენთვისკი სწორედ ამას აქვს ინტერესი და არა იმას, ერგება თუ არა სათათბიროს ს.-დ. ფრაქციას პოლონეთის ს.-დ. მთავარ გამგეობისაგან კეთილსაიმედობის მოწმობა. ნუ თუ „ჩვენ საქმეს" ჰგონია, რომ ასეთ „მოწმობის" უტყუარ და დაურღვეველ არგუმენტის ძალა და მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის? ჩვენ ჩვენი აზრი იმ ვოტუმის შესახებ ნათლად და გარკვევით გამოვთქვით, შეცდომად ვაღიარეთ იგი და, ჩვენის აზრით, იგი შეცდომად დარჩება, რამდენი „მოწმობაც" არ უნდა მიიღოს სათათბიროს ფრაქციამ თავის უცხოელ ამხანაგებისაგან. აღსანიშნავია, რომ არც თუ მაინცა და მაინც პოლონ. და ლიტვ. ს.-დ. უწონებს ფრაქციის 3 მარტის გამოსვლას: ჩვენმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა სათათბიროს ფრაქციის ვოტუმსო, ვკითხულობთ წერილში, „მხოლოდ ის მწუხარება გამოსთქვა, რომ ეს ხმის მიცემა დასაბუთებული არ იყოო" და სხვა. საქმეც სწორედ ამაშია, ვინაიდან, სათათბიროს ფრაქციას თავის ვოტუმის დასაბუთებისათვის ყური რომ ეთხოვა, უეჭველად იძულებული გახდებოდა ან დიმშას ფორმულისათვის სრულიად არ ეყარა კენჭი, ან ახალი ფორმულა წარედგინა. მაშინ ფრაქცია უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიყენებდა თავის თავს, შჩეგლოვიტოვსა და პურიშკევიჩს ხელს არ მისცემდა..

რაც შეეხება „დროების" „აღფრთოვანებულ იმედებს და ილლიუზიებს", უნდა მოვახსენოთ „ჩვენ საქმეს", რომ ისინი არ არიან დამყარებულნი ავსტრიის ან პოლონეთის ს.-დ. აზრზე და მაშასადამე, ის ათი „ეთიმიანად მისი ვერ გაუ-" თხრის და ვერ გაანადგურებს" ჩვენს შეხედულებას რუსეთის ს.-დ.—ზე საზოგადოდ და ქართველ ს.-დემოკრატებზე კერძოთ. ჩვენ ვამტკიცებდით ყოველთვის და დღესაც ვიმეორებთ, რადგან ეს **ფაქტია და სინამდვილე** და არა მოსაზრება, რომ ყოველს ერს თავისი საკუთარი ეროვნული ს.-დემოკრატიული პარტია ჰყავს და მხოლოდ ქართველი ს.-დემოკრატები მონებივით გაითქვიფნენ რუს ს.-დემოკრატებში, მხოლოდ მათ დაჰკარგეს ეროვნული ფიზიონომია. პოლონეთის და ლიტვის ს.-დ. პოლონელთა განსაკუთრებული ორგანიზაცია არის, რომელსაც საკუთარი ეროვნული იდეალიც აქვს და რომელზე ის უარს არ იტყვის არასოდეს; რუსეთის ს.-დ. პარტიაში იგი შედის როგორც თანასწორი და თანასწორუფლებიანი ნაწილი და არა როგორც მონა უსახო და უმზგავსი...

## რევოლიუცია ოსმალეთში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ვენა.** სან-სტეფანოში 19 სენატორმა და 120 დეპუტატმა საიდუმლო სხდომა მოახდინეს და ეროვნული კრება დააფუძნეს საიდ-ფაშის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა ორი წინადადება: პირველი—სულთნის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ, ხოლო მეორე—იმის შესახებ, რომ მაკედონიის ჯარის გალაშქრება კანონიერად ცნობილ იქმნას და ვინც მას წინააღმდეგობას გაუწევს—ის მეამბოხეთ ჩაითვალოს. მარშალმა მუსტაფა-ფაშამ სულთნის გადაყენების წინააღმდეგ ილაპარაკა. მუსტაფა-ფაშა რომ სიტყვას წარმოსთქვამდა, იმ დროს სან-სტეფანოს მოუახლოვდა ხუთი სამხედრო გემი და განაცხადა, რომ ამას იქით ეროვნულ კრების განკარგულებაში ვიქნებითო.

როგორც ისმის, სულთნის გადაყენება პრინციპიალურად გადაწყვიტეს. შეიხ-ულ-ისლამიც დასთანხმდა სულთნის გადაყენებას. შემდეგ ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა გალაშქრებულ ჯარის მიერ გამოცემული ორი პროკლამაცია და დაადგინა თავის მხრივაც გამოსცეს პროკლამაცია ჯარის გალაშქრების შესახებ. ჯარის ორივე პროკლამაცია და კრების პროკლამაცია წაიკითხეს საზოგადოების თანდასწრებით. შემდეგ საზოგადოება დაითხოვეს და ხელახლად დაიწყო დახურული სხდომა. მესამე კორპუსის უფროსი მახმუდ-შევკეტ-ფაშა და სამხედრო მთავარ-შტაბის უფროსი ჰერტეევი მოვიდნენ სან სტეფანოში და ეროვნულ კრების სხდომებს დაესწრნენ. სხდომებში მონაწილე დეპუტატების რიცხვი 200-მდე ავიდა. დეპუტატებს სხვაგან წასვლის ნებას არ აძლევენ.

უკანასკნელ ცნობებით, წინადა-

დებისთვის სულთნის გადაყენების შესახებ ჯერ არ უყრიათ კენჭი. პალატის თავმჯდომარე მუსტაფამ უარი განაცხადა თანამდებობაზე.

**სან-სტეფანო.** აქ შეიკრიბნენ 160 დეპუტატი და სენატორების უმეტესობა. პალატის თავმჯდომარე მუსტაფა გადადგა თავის თანამდებობიდან. მის ნაცვლად ერთხმად აირჩიეს ახმედ-რიზა, რომელმაც გადასდვა სალონიკში წასვლა. მან კრების თავსმჯდომარეობა დაუთმო კუჩუკ-საიდ-ფაშას, რომლის თავმჯდომარეობით გაიხსნა პალატისა და სენატის შერთებული კრება, რომელმაც თავის თავი ეროვნულ კრებად გამოაცხადა. სხდომა საიდუმლო იყო. ნაშუადღევის 6 საათზე დაამტკიცეს შემდეგი პროკლამაციები: ეროვნული კრება იწონებს პროკლამაციებს, რომელიც გალაშქრებულმა ჯარმა გამოსცა კონსტიტუციის დასაცველად რეაქციისაგან; იწონებს აგრეთვე რეაქციონურ კონტრ-რევოლიუციის მეთაურების დისჯას და იმ ღონისძიებას, რომელიც ჯარმა მიიღო კანონისა და შარიატის თანახმად. კრება აცხადებს, რომ ჯარის მოქმედება შეეფერება ხალხის სურვილს, ამიტომ ყველანი მოვალენი არიან ჯარის ბძანებას დაემორჩილონ, ხოლო ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, დასჯილ იქნება.

პროკლამაციის დამტკიცების შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი სულთნის გადაყენებისა და ამ საქმისთვის შესაფერ ფეტვას შედგენის შესახებ. საზოგადოება და ჟურნალისტები დაითხოვეს სხდომიდან.

ფლოტი მოვიდა სან-სტეფანოში და ხელახლად დეპუტაცია გაგზავნა გამოსაცხადებლად, რომ ფლოტი ერთგული იქნება კრებისა.

**სტამბოლი.** თუმცა ოფიციალურად არაა შემოწმებული, მაგრამ მაინც დასაჯერებელია ის ხმა, ვითომ სულთანმა, როდესაც ეროვნულ კრების მოთხოვნილება მიიღო ტახტიდან გადადგომის შესახებ, თანხმობა გამოაცხადაო. სან-სტეფანოთან ჩამოსული [illegible] დაინიშნა ჯარისა და ფლოტის უფროსად და გენერალისიმუსის ხარისხი მიიღო. სტამბოლში ჯერ-ჯერობით უწესობა არაა, თუმცა ქალაქი ძლიერაა აღელვებული. ხალხით გაჭედილ ქუჩებში პატრულები დადიან, სულთანმა ჩვეულებრივი განკარგულება მოახდინა დღევანდელ სელამლიკის შესახებ. ზოგიერთ დიპლომატის სახლობა უკვე გავიდა სტამბოლიდან, ხოლო საელჩოებში, მათ სადგომებში დაბინავდნენ უცხოეთის ქვეშევრდომთა ოჯახები. საელჩოებს იცავენ უცხოეთის სამხედრო გემების მეზღვაურები.

მინისტრებმა ტეფიკ-ფაშას თხოვნები ჩააბარეს სამსახურიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ მან დაიყოლია მინისტრები, რომ ისევ დარჩენილიყვნენ. მარტო იუსტიციის მინისტრმა ბეჯითად მოითხოვა და გადადგა კიდეც თანამდებობიდან. გაზეთები აცხადებენ სიას იმ პირებისას, რომლებმაც ხელი შეუწყეს რეაქციონურ კონტრრევოლიუციას. ამბობენ, ვითომ ეს პირები თითონ სულთანმა დაასახელაო. სიის თავში მოქცეულნი არიან მარშალი შაქირ-ფაშა, კონტრ-ადმირალი საად-ფაშა სულთნის კამერგერი ემინ-ფაშა, გაზ. „იკდამ“-ისა, „მიზან“-ისა და „ვატან“-ის რედაქტორები, გაზ. „სერვეტ“-ის გამომცემელი, ახრარების მეთაური იზმაილ-კემალი, ალი-კემალი, სულთნის ექიმი ნურედინი და რამდენიმე კარის-კაცი.

**კელნი.** გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს სტამბოლიდან ატყობინებენ დეპეშით, რომელიც გაგზავნილია შუაღამის ხანს, რომ სან-სტეფანოში ეროვნულ კრების საიდუმლო სხდომამ 150 ხმის უმეტესობით დაადგინა, სულთანი ტახტიდან ჩამოვაგდოთო. მხოლოდ სწორედ არ იციან, როდის ჩამოაგდებენ სულთანს. შეიხ-ულ-ისლამს მიანდეს ამ დადგენილების თანახმად ფეტვა შეადგინოს.

**ვენა.** რადგან მცირე აზიის სხვა და სხვა ნავთ-სადგურიდან საშიში ცნობები მიიღეს, რომ უბრალო ხალხმა დიდი უწესოება მოახდინაო, ავსტრიის მთავრობამ ჯავშნიანი კრეისერი „იმპერატორი კარლოს [illegible] და [illegible] „ცენტა“ გაგზავნა ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

**ვენა.** „კორ. ბიუროს“ ატყობინებენ სტამბოლიდან: სელამლიკს ჩვეულებრივზე ნაკლები ჯარი დაესწრო; გარდა მეორე დივიზიისა, რომელიც შეადგენს ილდიზ-კიოსკის მეციხოვნე ჯარს, სელამლიკს დაესწრნენ მეზღვაურები, ცხენოსანი რაზმი და სალონიკელ მსროლელთა როტა; ამ როტას აფიცრები არა ჰყავდა.

**სან-სტეფანო.** ეროვნულმა კრებამ მოახდინა საიდუმლო სხდომა. პალატის თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების ოქმი მივიღეთო. თუმცა სხვა საქმეებიცა ჰქონდა, პალატამ მაინც დაადგინა ეს ოქმი განსახილველად მიიღოს და კომისიას გადასცა იგი.

**სტამბოლი.** ჯარი ნელ-ნელა ირგვლივ უფრო და უფრო უახლოვდება ქალაქს. მისი მარცხენა ფრთა ბოსფორზე გავიდა და ბეშიკტაშეში იყრის თავსა. უმთავრესი ჯარი სიმაღლეებზე დგას ილდიზის წინ. მარჯვენა ფრთამ წაიწია რკინის გზისკენ მეკრიკსიეტსა და სამატიეს შუა. სწორე ცნობა ჯარის მოძრაობის შესახებ არ მოსულა, რადგან ჯარს გარშემო ახვევია მფრინავი ცხენოსანი რაზმები.

**სტამბოლი.** ჯარი შემოდის სტამბოლში.

**სტამბოლი.** თუმცა არ ელოდნენ, სელამლიკი მაინც მოხდა. სულთანი მეჩითში მიდიოდა თავის ვაჟიშვილს ბურხან-ედინის და დიდი ვეზირის ტევფიკ-ფაშის თანხლებით. ჯარი ჩვეულებრივის წესით ესალმებოდა სულთანს. სელამლიკის შემდეგ სულთანი გამოჩნდა თავის სასახლის ფანჯარაში და ხალხი მიესალმა მას.

**ლონდონი.** ინგლისის დეპუტატთა პალატაში მთავრობას შეეკითხნენ ოსმალეთის მდგომარეობის შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტერმა გრეიმ პასუხად განაცხადა. ჯერ არ შეგვიძლიან იმის თქმა, თუ როგორ გათავდება საქმე სტამბოლში. მინისტრი დაეთანხმა პირველ მინისტრის ასკვიტის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ინგლისი ოსმალეთის კონსტიტუციას უჭერს მხარსაო. ინგლისის მთავრობა იმ თავითვე თანაუგრძნობდა ოსმალეთის კონსტიტუციას, მაგრამ იგი არ ერევა ოსმალეთის პარტიათა ბრძოლაში, რადგან ეს უცხო სახელმწიფოს საქმე არაა

# რუსის ჯარი სპარსეთში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტერბურგი.** რუსეთის მთავრობამ სახელმწიფოებს შემდეგი ცირკულიარული დეპეშა დაუგზავნა: „ადერბეიჯანის უფროსს კონსულისაგან ცნობა მოუვიდა, რომ თავრიზში შიმშილია და რუსეთის და უცხოეთის კონსულები და ქვეშევრდომები საშიშ მდგომარეობაში არიანო. მათ, ერთის მხრით, რევოლიუციონერებისა ეშინიანთ, მეორეს მხრით, დამშეულ ბრბოსი, რომელიც უკიდურეს გაჭირვებამდეა მისული. ამიტომ რუსეთის რწმუნებულს დავალებული ჰქონდა ყველაფერი ეს შაჰისთვის ეცნობებინა და მოეთხოვნა, თუ თავრიზის უცხოელი ქვეშევრდომნი უზრუნველყოფილნი არ იქნებიან და მათთვის და [illegible] უცხოელებისთვის თავრიზში სურსათი არ იქნება მიტანილი, რუსეთის მთავრობა იძულებული იქნება უცხოელების და რუსების დასაცველად თავრიზში საკმაო ჯარი გაგზავნოსო. შაჰმა პირობა მოგვცა, ეინუდ-დოვლეს ვუბრძანებ, თავრიზში სურსათის შეტანის ნება მისცესო, მაგრამ ეს პირობა არ აასრულა და ბრძანება არ გაგზავნა, რაიც უცხოელებისა და რუსების მდგომარეობას საშიშადა ხდის. რადგან საქმემ ასეთი მიმდინარეობა მიიღო, რუსეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, ჯარი გაიგზავნოს ჯულფასა და თავრიზში. რა აზრით იგზავნება ჯარი, ზემოდ უკვე აღვნიშნეთ. დამყარდება თუ არა მშვიდობიანობა თავრიზში და რუსების ქვეშევრდომთა და უცხოელების სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილი იქნება, ჯარს უკანვე დავიბარებთ“.

**პეტერბურგი.** ჯერ კიდევ 7 აპრილს ინგლისისა და რუსეთის ელჩებს შაჰი დაჰპირდა, ეინუდ-დოვლეს ვუბრძანებ, რომ ექვსი დღით მშვიდობიანობა ჩამოაგდოს და თავრიზში სურსათის შეტანის ნება მისცესო. მიუხედავად დაპირებისა, ეინუდ-დოვლეს არავითარ ბრძანება არ მიუღია, რასაც თავრიზელი რუსი კონსული ამოწმებს. რუსეთისა და ინგლისის ელჩები ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რადგან მცხოვრებლებს შაჰის დაპირება შეატყობინეს. თავრიზში მყოფ უცხოელების მდგომარეობა საშიში გახდა, რადგან შესაძლებელია, დამშეული ბრბო მათ თავს დაესხას. ამიტომ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, თავრიზში უცხოელების დასაცველად საკმაო სამხედრო ძალა გაჰგზავნოს. კავკასიის ნამესტნიკს ნაბრძანები აქვს საჩქაროდ გაჰგზავნოს ჯარი სპარსეთში.

**თეირანი.** შაჰის ჯარის ერთმა მთავარ-სარდალთაგანმა ისარგებლა ჩამოვარდნილ მშვიდობიანობითა და თავრიზის სამხრეთ-დასავლეთით რევოლიუციონერების გამაგრებული პოზიცია დაიჭირა. ინგლისისა და რუსეთის მისიებმა ამაზე მხნე პროტესტი განაცხადეს.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რკინის გზების ხარჯთ-აღრიცხვა.**

10 აპრილის სხდომა სათათბირომ რკინის გზების ხარჯთ-აღრიცხვას მოანდომა. განიხილეს ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც კომისიის მოხსენებიდანა სჩანს, 1909 წელს რკინის გზების ხარჯი მოსალოდნელია 537,548,834 მანეთი, შარშანდელზე 46 მილიონით მეტი. კომისიამ ეს ხარჯი თხუთმეტი მილიონით შეამცირა და თავის ფორმულაში ზოგიერთი სურვილი გამოსთქვა საქმის გასაუმჯობესებლად.

**გზათა მინისტრმა** დიდ ხანს ილაპარაკა. სთქვა, რკინის გზებს ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ ყველაფრის გაკეთება და გამოსწორება მხოლოდ თანდათან შეიძლებაო. მინისტრი შეეხო იმ ზარალსაც, რომელიც რკინის გზებს მოაქვთ. თვითონ მინისტრის მოწმობით, ზარალი 1902 წელს 32 მილიონი იყო, 1906 წელს კი—93 მილიონი მანეთი. ზარალი ამდენი არ იქნება, თუ ვიანგარიშებთ ხარჯს, რომელსაც რკინის გზები სახელმწიფოსთვის ეწევიანო. ასეთია ფოსტის, ჯარის, ტუსაღების გადაზიდვა და სხვაო. მაინც, მინისტრის აზრით, რკინის გზები ყოველ წლიწადს ხაზინას 50 მილიონამდე ზარალს აძლევენ. მინისტრმა შემდეგ სთქვა, რა რეფორმები განუზრახავს მთავრობას. დიდი ყურადღება მიექცევა მოხელეებს, რომელთაგან ბევრნი არცხვენენ რკინის გზის სამსახურის სახელსა. ყურადღება მიექცევა აგრეთვე რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა უფლებრივ მდგომარეობას. დაწესდება დრო-გამოშვებით მომატება ჯამაგირისა. მუქთა ბილეთების რიცხვიც შემცირდება და სხვაო. მაგრამ საქმის მოსაწყობად საჭიროა ყველამ ერთსულოვანად ვიმუშაოთო.

**კუზნეცოვი** (სოც.-დემოკრატი). შეეხო რკინის გზების მოსამსახურეთა გაჭირვებულ მდგომარეობას. ბევრს ამუშავებენ, ცოტა ჯამაგირს აძლევენო. მინისტრის დაპირებებს ფასი არა აქვს. მუშებს მთავრობა ვერ მოუატყუებს, მათ კარგად იციან, რომ განთავისუფლება საკუთარის ხელით უნდა მოიპოვონო.

**ტიჩინინმაც** (მემარჯვენე) საჭიროდა სცნო მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს, რომ რკინის გზებზე პატიოსანი ხალხი იყოს და არა გაფიცვების მომწყობნიო.

**ნეკრასოვმა** (კადეტი) დიდი სიტყვა წარმოსთქვა. შეეხო ტარიფის სიდიდეს, იმასაცა, რომ რკინის გზები მასალას დიდ ფასად იძენენ და ამის გამო აუარებელ ფულსა ხარჯავენ. ყურადღება მიაქცია მოსამსახურეთა დათხოვნასაც. 1906 წლიდან, რევოლიუციის ჩაქრობის შემდეგ, რკინის გზებიდან მთავრობამ 12,000 მოსამსახურე დაითხოვა და რუსის კავშირის წევრნი მიიღო. ამათ მუშაობა არ იციან და საქმეებიც ცუდად მიდისო. გლეხებს, რომელნიც გადასასახლებლად მიდიან, ისე ექცევიან რკინის გზებზე, როგორც პირუტყვსაო. დასასრულ, ორატორმა სთქვა: თუ მინისტრს უნდა რკინის გზების საქმე გამოკეთდეს, მეტი სინათლე უნდა შეუშვას თავის უწყებაშიო.

**ტიმოშკინმაც** (მემარჯვენე) წარმოსთქვა სიტყვა. ორატორის სიტყვით, რკინის გზის დიდი მოხელენი ქრთამებს იღებენ, დაბალ მოსამსახურეებს ფულს ართმევენ. ამის გამო დაბალი მოსამსახურენიც იძულებულნი არიან, უბილეთო მგზავრები ზიდონ და სხვა ბოროტ-მოქმედებანი ჩაიდინონო. დიდი ბოროტმოქმედებანი ხდება აგრეთვე საქონლის დატვირთვისა და გადატვირთვის დროსაო. მთავრობამ რევოლიუციისთვის დაითხოვა მხოლოდ 18,000 კაცი. დაითხოვა ამასთან უდანაშაულონი. დამნაშავე, უმაღლესი მოხელენი კი ისევ [illegible]

# ფელეტონი

## სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა ხუთ მოქმედებად.

**ვასილ ყიფიანისა**

(შემდეგი *)

**9.**

**გიორგი.** საკამათოდ მოვდივარ, ჩემო ძმისწულო: ბშლისა და ჩხუბის გუნებაზე ვარ; აქამდე შენი მორჩილი ქვეშევრდომი ვიყავი, ეხლა კი ჩემი უფლებით მინდა ვისარგებლო. (დაჯდება პირისპირ) პირი და ფიცი უნდა მომცე ლევან.

**ლევან** (დაღვრემილი). რაზე?

**გიორგი.** მაზე, რომ ჭირსა და სევდას, გულიდან სამუდამოდ განდევნი და მწუხარებისაგან დასცხრები. არა, ხუმრობა იქით იყოს და ეგრე რო არ იქნება, ლევან!

**ლევან** (დაღვრემილი). მაინც?

**გიორგი.** წუთი სოფელს ნაღვლითა და მწუხარებით ატარებ; რაღაც ძი[illegible] საგონებელს შეუპყრიხარ და არ გვეუბნები.

**ლევან** (შეხედავს). სჩანს, საჭიროდ არა ვსთვლი.

**გიორგი** (საყვედურის კილოთი). ვიტანჯებით, ვეყო: შენის შეჭირვებით ჩვენც ლხინი მოგვშორდა.

**ლევან** (უგემხად). ყველაზე ნაკლებ შენა გმართებს ლხინი.

**გიორგი** (ნაწყენი წამოდგება). მაგ სიტყვას მოველოდი. სამდურავის ნიშანი აშკარაა, სჩანს მე ვარ მიზეზი, მაგრამ რა დავაშავე? ლევან, ბოროტად შემასმენელთ ერიდე: ჭეშმარიტება შენის თვალით განიცადე. კარგად იცი, შვილივით გამიზდიხარ, შვილად მიმაჩნიხარ, შენგან ჩემი გულის მოკვლა ადვილად შეიძლება.

**ლევან** (წამოდგება აღელვებული). იგი უკვე მოკლულია... მაგრამ საქმეს მივმართოთ, საქმე სთქვი რამე. ამ ვარამზე ფიქრმა დამტანჯა; სიავკაცეს თავისი სარბიელი აქვს.

**გიორგი.** იმაზე უდიდესი საქმე სხვა რომელია?! ლევან, გამიგონე: დიდი ხანია გატყობ, რომ ჩემზე გული გამოიცვალე (ლევან ფანჯრისაკენ მიდის). თვალებს მარიდებ, პირს მრისხანედ იღუშავ, ზოგვით მელაპარაკები, თითქო გენანება, რომ უსარგებლოდ ფანტავ ჩემთვის სიტყვებს; ეხლაც... (მეჩერება).

**ლევან.** მესმის, მესმის, განაგრძე! (ზურგშექცეული).

**გიორგი.** ნაცვლად სიყვარულისა, რომელიც გულს მითბობდა, რომელიც ერთად-ერთი სიხარული იყო ჩემი, შენ თვალებში ელვარებს გაუგებარი მტრობა ჩემდამი. რადა, ლევან? მოულოდნელი ზარია ჩემთვის ეგ შენი წყრომა. რას მოასწავებს იგი, ლევან?

**ლევან.** სულით დაცემას მოღალატისას (მოუბრუნდება)!

**გიორგი.** არა ვარ მოღალატე, ღმერთმა ხომ იცის. მითხარ, რა დავაშავე? და თუ დავაშავე, დამსაჯე, დამსაჯე სასტიკად, მძიმე საკანონო გადამახდევინე... შერცხვენილი ვიყო, თუ კრინტი დავძრა, სიტყვა საყვედურისა ამოუშვა პირიდინ. აჰა, შენ ხელთა ვარ, ოღონდ ეგრე ნუ მექცევი.

**ლევან.** (ტანჯვით) შენა ხარ ულმობელი მსაჯული ჩემი: დანას მიტარებ გულში.

**გიორგი.** მე ვარ ულმობელი მსაჯული?! ღმერთს შეხედე! მე, უშვილომან, უწმინდესი გრძნობა მამულიშვილური შენზე ვავარჯიშე, უძვირფასესი სულის საუნჯე შენ შეგალიე. არა, ლევან, მე ისევ ის ბიძა ვარ, რომლის კისერზე ხელებშემოქცეულს არა ერთხელ აღგითქვამს უსაზღვრო სიყვარული, რომლის თვალთაგან ბევრჯერ გდენია ცხარე ცრემლები გადიდებულ ავადმყოფს.

**ლევან.** (ტანჯვით ხელებს იმტვრევს) მეყოფა წამება! აღარ შემიძლიან: ეგ სიტყვები ღვთის რისხვის ხმად გაისმის ჩემ ყურში, ცეცხლს მიკიდებს, ლახვარით მესობა გულზე. შენ კი არა, მე ვარ დამნაშავე, მე, ეს საზიზღარი ლეში! (გულზე დაიდებს ხელს). შენ რა იცი, რა ამბავია! (აღელდება) მაგრამ შორს ჩემგან, სულის სისუსტევ, უგვანო გრძნობავ. გადამიწყვეტნია: ფეხზე უნდა დავდგე; მომეც ხელი, ბიძაჩემო! მიშველე, რომ არ დავეცე: ხედავ, ვტორტმანებ! (გიორგი მოხვევს ხელს)

**გიორგი.** (შეხედავს გაოცებული) მოდი, ლევან, მოდი, შვილო, გულზე მიგიკრა. ვერა ხარ კარგად, — ფიქრმა იცის.

**ლევან.** ჰოო! რა ძნელია სნეულის ფეხზე წამოყენება!

**გიორგი.** გამაგრდი, ნუ აჰყვები ფიქრსა, ლევან დამშვიდდი! განიმტკიცე სული! (გულზე მიკრული ჰყავს ცოტა ხანს).

**ლევან.** (დარეტიანებული). არა! ვცრუობ, ნუ გჯერა! ჩემ თავს ვატყუებ, შენც გატყუებ. (მოშორდება) უარესი საზიზღრობაა თვალთმაქცობა...

**გიორგი.** რა ვქნა, რა გემართება?! მითხარ, ვეყო, რა გტანჯავს ეგრე უწყალოდ?

**ლევან.** (თავისთვის) არა, არა, უძლური ვარ, ჩემ გზას ვერ ავცდები... პირდაპირ სჯობს: დევ ავაზაკი ვიყო, ოღონდ ქურდი ნუ ვიქნები.

**გიორგი.** ლევან გამაგებინე!

**ლევან.** (გადაწყვეტით) გადამიდგამს ნაბ[illegible]: მოვიდეს მოსასვლელი! [illegible], მაგრამ ვაი შენ თავმოყვარე[illegible]! ამოიღე ხმალი! (წაიღებს [illegible] ხელს) ზარის ხმად მოგესმება ჩემი სიტყვა.

**გიორგი.** რას შვრები, ლევან?

**ლევან.** ამოიღე, თუ ვაჟკაცი ხარ! ზეით ღმერთმა გადაწყვიტოს—სხვა გზა არ არის.

**გიორგი.** ლევან, აბა რასა ჰგავს?! გონს მოდი!

**ლევან.** ამოიღე, მეთქი!—ხმალში გამომიწვევიხარ. საშინელ შხამს ჩავაწვეთებ ყურში... (შემოვარდება დარეჯან).

**დარეჯან.** ვუიმე! რას ვხედავ?! ლევან, გენაცვა, რას შვრები?! (ხელს დაუჭერს და ქმარს მიუბრუნდება). აღდამიანო, შენ რაღა გემართება?!

**გიორგი.** ღმერთია მოწამე...

**ლევან.** სჯობს, ეხლავე გადასწყდეს: ბოლოს ერთია. (ჰბორგავს).

**დარეჯან.** აბა რას ამბობ?! ლევან, გენაცვა! თუ ჩემი სიყვარული გაქვს, გევედრები!

**ლევან.** თმენა არ არის!

**დარეჯან.** მე გევედრები, შენი დარეჯან, დამშვიდდი! დაჯექი, დაჯექი! (სვამს. ლევან მოწყვეტით დაეშვება სკამზე. დარეჯან შივარდება ქმარსა). რაღას გაჩერებულხარ?! (მოაცრიალებს კარებისკენ) მოშორდი! ხომ ჰხედავ, გონს აღარ არის?! (გიორგი გავა. დარეჯან ცოტა ხანს უყურებს ლევანს) რასა ჰგავს შენი საქციელი?! ბავშვი არ იზამს მაგასა, ბავშვი.

**ლევან.** (ურცხვად) სხვა გზა არ იყო.

**დარეჯან.** შარა გზა მრავალია, მაგრამ შენ განზრახ ირჩევ საფათერაკო ბილიკს.

**ლევან.** სულის კვეთებამ იცის.

**დარეჯან.** რამ იცის, ლევან, მე გეტყვი. შემომხედე, შემომხედე კარგად! თვალებში! (პაუზა) მე შენ არ გიყვარვარ.

**ლევან.** მე?!

**დარეჯან.** სწორედ: ნასახიც არა გაქვს გულში სიყვარულისა, ნამდვილი სიყვარული ბრმაა, ლევან. ძალა მისი უსაზღვროა და შეუპოვარი: იგი არას ერიდება; ზრახვა, რისხვა, თვით მუქარა ჯოჯოხეთის არაფრად მიაჩნია; ასეთია სწორედ ჩემი სიყვარული. შენი კი უფროხის ხმას ერისას, ქენჯნას სინიდისისას და ყოველგვარ აჩრდილს, რომელიც ელანდება შენ ფთხალ გონებას. ეგ სიყვარული არ არის!

**ლევან.** შენ ჩემი ტანჯვა გწყურია.

**დარეჯან.** (ჩაწყვეტილის ხმით) ტანჯვა აქ იკითხე, მაგრამ დავანებოთ ამას თავი; სჯობია, ლევან, ახლავე, სანამ დროა, დავუდოთ საზღვარი ჩვენ ურთიერთობას, მერე გვიან იქნება... დავივიწყოთ, რაც იყო ჩვენ შორის და დავუბრუნდეთ ძველ ცხოვრებას. (ხელებს მიითვარებს თვალებზე და წასვლას დააპირებს).

**ლევან.** (მივარდება) გაგიჟება გინდა ჩემი, დარეჯან! (მიიკრავს გულზე მის ხელებს). მაშ ეს რა მემართება მე უბედურსა, თუ სიყვარული არ არის დარეჯან, მე თვითონ არ ვიცი, რას ვშვრები: გონება მერყევა; ჩამოიხედე ამ გულში. როგორ, მე არ მიყვარხარ?! (მოხვევს ხელს).

**დარეჯან.** არა, არა, გამიშვი! (გაუსხლტება ხელიდან, მირბის შიგნით კარებისაკენ, ლევან გამოედევნება).

**ლევან.** დარეჯან! დარეჯან, რადა მკლავ?! (გაჰყვება, ორივე შევლენ შიგნით. შემოდის მარიამ გარედან, საჩქაროდ მიმოიხედავს, გაბრუნდება კარებისაკენ და დაუძახებს).

**11.**

**მარიამ.** შემოდი! შემოდი! არავინ არის. (შემოდის ნინო და მოიხსნის თავიდან შალს).

**ნინო.** მუხლები მიკანკალებს, ლამის წავიქცე.

**მარიამ.** (მკლავს დაუჭერს). ფიქრი ნუ გაქვს, ნინო, მხნედ იყავ! მოდი დაჯექი! (დასვამს). ეგრე. დაისვენე პატარა ხანს! (წავა შიგნით შესავალ კარებისაკენ). შევიხედო, ხომ არავინ არის. (შეიხედავს). ჭაჭანება არ ისმის. ღვთით, ყველაფერი კარგად მიდის, თუ ბავშვმა არ შეჰქმნა ღრიალი სიხარულისაგან.

**ნინო.** ღვიძავს მანუჩარს?

**მარიამ.** არა, სძინავს.

**ნინო.** ძალიან სუსტად არის?

**მარიამ.** ცოტა მოჯობინდა.

**ნინო.** (წამოდგება). წავიდეთ, თმენა არ არის.

**მარიამ.** ნინო! (შედგება) როგორ გირჩიო, მაგრამ, რომ არ გაალვიძებდე...

**ნინო.** შესძლებს მერე დედის გული?!

**მარიამ.** უნდა შესძლო, ფათერაკი უეჭველია.

**ნინო** (ფიქრის შემდეგ). რა ვქნა: შენი ნება იყოს; მძინარეს მივიკრამ გულზე ცოტა ხანს და წავალ ჩემ გზაზე. (ქვითინებს).

**მარიამ** (მოხვევს ხელს და მიიკრავს გულზე). ნინო, გენაცვა, აბა რა დროსია... თავი შეიკავე, კმარა, კმარა!

**ნინო.** რა ვქნა, რო გული არ მითმენს ამ დღეში მყოფსა.

**მარიამ.** წავიდეთ, წავიდეთ ნინო, არავინ შემოვიდეს. (შევლენ შიგნით. ცოტა ხანს შემდეგ გაიღება ფანჯარა; გამოჩნდება არჩილ წელზეით, გადმოჰყოფს თავსა ფანჯარაში, მიმოიხედავს, უყურს დაუგდებს და ბოლოს გადმოხტება სცენაზე).

*) იხ. „დროება“, N 778

ლენი კი იქვე სხედან. ორატორს დიდ ხანს ულაპარაკნია ამიერ-კავკასიის რკინის გზების შესახებ, სადაც თითქმის სულ არა რუსები მსახურებენო.

ბოლოს სათათბირომ მიიღო საბიუჯეტო კომისიის ფორმულა.

**აფიცრებისთვის ჯამაგირის მომატება.**

სათათბიროს მოხსენდა სახელმწიფო დაცვის კომიტეტის პროექტი, რომლითაც განზრახულია 1-ლ იანვრიდან 1909 წ. ჯამაგირები მოუმატონ კავკასიის და თურქესტანის მხედრობის აფიცრებსა და სამხედრო უწყების მოხელეთ. სამხედრო მინისტრის თანაშემწემ მოითხოვა, რომ პროექტი დაუყონებლივ იქმნას განხილული.

სათათბირომ განიხილა, დაამტკიცა და საბოლოო რედაქციისთვის გადასცა სარედაქციო კომისსიას.

**საარხეოლოგიო კოლლექცია.**

კაპუსტინმა მოახსენა სათათბიროს პროექტი გოლენიშჩევის საარხეოლოგიო კოლლექციის შეძენის შესახებ სახელმწიფოს საკუთრებად. სხვათა შორის ს.-დ. სურკოვმა სთქვა: პროლეტარიატი წინააღმდეგი არ არის ამისა, მან იცის კულტურის დაფასება. მაგრამ ხალხი ვერ სარგებლობს მუზეუმებითა, ვერა ჰხედავს ამ სიმდიდრეებსო... პურიშკევიჩმა უწმაწურის სიტყვებით გააწყვეტინა სიტყვა ორატორს. ასტყდა ხმაურობა. ბოლოს სურკოვმა სთქვა, რომ ფრაქცია წინააღმდეგი არ არის კრედიტის გადადებისა ხსენებულ კოლლექციის შესაძენადო.

სათათბირომ დაამტკიცა პროექტი.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აპრილი

## საზღვარ-გარედ.

**ქრისტიანია.** დრესკის მახლობლად ერთმანეთს დაეჯახნენ გემები „ოკსფორდი" და „იუდუფი". „იუდუფი" ჩაიძირა. დაიღუპა კაპიტანი ცოლით და 15 მგზავრი.

**ლონდონი.** ინგლისის მთავრობამ აღიარა ბოლგარიის დამოუკიდებლობა.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო სრულიად რუსეთის პედაგოგიურ პსიხოლოგიის პირველ კრების თავმჯდომარეს მოიწვიოს 1-5 ივნისს სრულიად რუსეთის მეორე კრება.

**ბორისოგლებსკი.** ტამბოვის ოლქის

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**ჯარი სპარსეთისთვის.** როგორც დღევანდელ დეპეშებიდანა სჩანს, რუსეთი ჯარსა ჰგზავნის სპარსეთში. გუშინ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის გალავანში კავკასიის ნამესტნიკმა ინახულა წამსვლელი ჯარი. გადახდილ იქმნა პარაკლისი.

**კახეთის რკინის გზის კონცესია.** როგორც „კავკაზ"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთათვის მიუციათ კონცესია კახეთის რკინის გზის გასაყვანად.

**პოლიტიკური საქმე.** 8—9 აპრილს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ვერა მახვილაძისა, სტუდ. არხაროვისა, ალექსანდრა მახვილაძისა, ნინო მაჩაბლისა და სხვათა, რომელთაც ჰბრალდებათ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის სამხედრო-ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება. ვიდრე საქმის არსებითად განხილვას შეუდგებოდნენ, ბრალდებულებმა ბაისურმა, ალექსანდრა ბაქრაძემ, ვერა სვეტლოვისამ, ვლადიმერ ბეზრონოვმა და ნინო მახვილაძემ განაცხადეს რომ იგინი უარს ჰყოფენ განსამართლებას და იმიტომ აღნიშნულნი ბრალდებულნი სასამართლოს დარბაზიდან გამოიყვანეს და შემდეგ განაგრძეს საქმის გარჩევა. ოლქის სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა 9 აპრილს. სასამართლომ მიუსაჯა: ვლადიმერ ბეზსონოვს (სემენოვად წოდებულს) 10 წლის კატორგა; ალ. ბაქრაძე—მახვილაძისას, ვასილ ნემუდრის, ვერა სვეტლოვას, იოსებ ნემულევიჩ-გრეიტერს, ივანე პასიურს და სერდენსენკოს—ექვს-ექვსი წლის კატორგა; ნინო მაჩაბელს და ნინო მახვილაძეს—4 წლის კატორგა და გრიგოლ ხირსელს—კატორგავე 3 წლითა და 8 თვით. გაამართლეს დანარჩენი ბრალდებულნი: ვერა მახვილაძე, ვასილ არხაროვი, ილია ნუცუბიძე, ვლადიმერ არიუკოვი, მარიამ უგრელიძე და კონსტანტინე ბალაევი. ბრალდებულთ ისავდნენ ნაფიცი ვექილები გრუზენბერგი, იოს. ბარათაშვილი და კლანკი.

**ტფილისიდან გატაცებული ფული.** „ბაკუს" პეტერბურგიდან ატყობინებენ: ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის მეარტელეს, რომელიც საუფლისწულო მამულების გამგეობაში მივიდა, აღმოაჩნდა ტფილისიდან (ერევნის მოედნიდან) გატაცებულ ფულიდან ოთხი ხუთას მანეთიანი.

**მარშლები სამართალში.** ქუთაისისა და სენაკის თავადაზნაურთა მარშლების საქმე, „ბაკუ"-ს სიტყვით სენატში გაირჩევა ამ თვეში. მარშლებს ბრალდებათ სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა.

**პროგიმნაზია ჭიათურაში.** ჭიათურის შავი-ქვის ერთ მრეწველთა წრეს განუზრახავს მრეწველთა საბჭოს ხარჯით დააარსოს ქუთაისში ქალთა პროგიმნაზია (ზაკ.)

**გენ. სლავოჩინსკის განცხადება.** გაზ. „ზაკავკაზია"-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ქუთაისის გენ.-გუბერნატორისა: „თქვენს გაზეთში დაბეჭდილია, ვითომ სამსახურიდან უნდა გადავდგე და ამის მიზეზი ისაა, რომ რამდენიმე საზოგადო მოღვაწე, მათ შორის სოხუმის ქალაქის თავად ნამყოფი თავთავდგირიძე, დავატუსაღეო. არც შემიძლიან და არც სურვილი მაქვს გამოვიძიო, საიდან გაჩნდა ეს უაზრო ხმები, ამიტომ გთხოვთ საყოველთაოდ გამოაცხადოთ, რომ მე შემდეგშიაც ბეჯითად ვდევნი „ყოველ მოღვაწეთ", რომელნიც საზოგადო წესიერებას და მშვიდობიანობას დაარღვევენ".

**მკვლელობა.** 10 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, სურფ-მინასის ქუჩაზე თავის სახლის შესავალთან, რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრეს ტფ. მცხოვრები ივანე თუშიშვილი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზედ გადაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

**ქალაქის საბჭო.** ხვალ, 13 აპრილს, საღამოს 8 საათისთვის, დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. საბჭოს განსახილველად წარედგინება 10-მდე საქმეები.

**ბათუმის ქალაქის თვითმართველობა.** ბათუმის ქალაქის თვითმართველობას მტრებმა ქვეყანას დეპეშით მოჰფინეს ამბავი, ვითომ სამმართველოს 55,000 მანეთი გაეფლანგოს და ამის გამო ბათუმის ქალაქის სამართველოს რევიზია დაუნიშნესო. ეს ამბავი, როგორც გვატყობინებენ, სრული სიცრუეა. საქმე ის არის, რომ ქალაქის თვითმართველობას გადიდებული ჰქონდა თურმე 55,000 მან. ჯარის ქირად, და რადგან საპიროებამ მოითხოვა, ეს ფული ქალაქმა საქმეებზე დახარჯა.

**გაზეთის შეჩერება.** ამ ერთი კვირის წინად, ბათუმის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ორი კვირით დაიკეტა გაზეთი „ბატუმსკია ნოვოსტი" იმ შენიშვნის გამო, რომელიც შეეხებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

**სახალხო წარმოდგენა** დღეს, 12 აპრილს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართველ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „პირველი და უკანასკნელი კოცნა" და „სიძე-სიმამრი". წარმოდგენა საღამოს 8 საათზე დაიწყება.

**ქალთა წრის კრება.** დღეს, საღამოს 5 საათისთვის ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი) დანიშნულია ქალთა წრის კრების გაგრძელება. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის წევრნი.

8 აპრილს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა მოხსენება სარევიზიო კომისიისა ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებით, საბაღოსნო სკოლა ამჟამად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. მოსწავლეთა რიცხვი 50-მდე ავიდა და სწავლის საქმეც ნორმალურად მიმდინარეობს.

აღდგომის დღესასწაულების შემდეგ ნიკიტინის ცირკში გაიმართა ახალი სინემატოგრაფი. სინემატოგრაფი მშვენივრად მოწყობილია და ძალიან კარგ სურათებსაც აჩვენებენ. ორ დღეში ერთხელ სურათები იცვლება. ეს სინემატოგრაფი სჯობია ტფილისში დღემდე არსებულ სინემატოგრაფებს. კარგია განსაკუთრებით ბუნების სურათები.

**„ფასკუნჯი".** გამოვიდა „ფასკუნჯის" მე-15 ნომერი შემდეგის შინაარსით: ევდოშვილის „მაგდალინელს".—მჭედლიშვილისა „გაზაფხული". ლუკაშვილის „დღეობაში". — ტეტმაიერის „სიყვარული".—ვეზირიძის „უნდა ვიტირო".—ა. ხახანაშვილის „სალირიკო პოეზია".—კანდაკოვის „ხელოვნება საქართველოში", თარგ. გ. ყიფშიძისა.—სიტყვის „დღიური".—ახალი ამბები.

# უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**ილდიზ-კიოსკში.**

სულთანმა დიდძალი ფული, საჩუქარი და ჯილდო დაურიგა თავის ერთგულ ჯარს. ყველა უბრალო ჯარის-კაცი და უნტერ-აფიცერი თავისუფლად მიდის ილდიზ-კიოსკში სულთანის სანახავად. სულთანი დიდის ყურადღებითა და პატივით მიიღებს ხოლმე მათ. აბდულ-ჰამიდმა მრავალ უბრალო ჯარის-კაცს აფიცრის ჩინი უბოძა; ახალგაზდა ოსმალთა მომხრე აფიცერი ერთი აღარ დატოვა სტამბოლის ჯარში.

სულთანმა თავის იახტით (გემით) დაიარა სამხედრო გემების ესკადრა და მოსთხოვა მეზღვაურებს, მისი მხარე დაიჭირონ. სულთანი ყოველ ღონისძიებას იღებს თავის ტახტის დასაცველად.

სულთანმა სთხოვა ინგლისის და საფრანგეთის ელჩებს, დახმარება გამიწიეთ, რომ გვირგვინი და ტახტი შემრჩესო. ელჩებმა უარი უთხრეს: ოსმალეთის შინაგან საქმეებში არ გავერევითო.

დიპლომატების უმეტესობა სტამბოლში დარწმუნებულია, რომ სულთანს უთუოდ ან ტახტიდან გადააყენებენ, ანდა სიკვდილით დასჯიანო.

სულთანი არწმუნებს ყველას ვითომ თითონ ის სრულებით არ გარეულიყოს კონტრ-რევოლიუციაში.

სულთნის ბრძანებით, ილდიზ-კიოსკის წინ დადგეს ერთი ბატარეია—ზარბაზანი ერთგულ არტილერისტებით.

სულთანმა ჯავშნიან გემებს, რომლებიც მის სასახლის პირდაპირ დგანან, ბძანება გაუგზავნა დაბექდილ კონვერტით.

სულთნის ვვარეულობის პრინცები ილდიზ-კიოსკიდან სასახლიდან სხვა ადგილებში გადასახლდნენ.

**კომიტეტის ჯარის გამარჯვება.**

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ჯარს ოხრიდას (მაკედონიაში) შეტაკება მოუვიდა სულთნის მომხრეებთან. კომიტეტის ჯარმა მთლად გაანადგურა რეაქციონერები.

ქალ. ადანა, სადაც კონტრ-რევოლიუციის მოხდენის უმალ, დაუწყეს აკლება სომხებს, საკმაოდ [illegible] ქალაქია 60 ათას [illegible] მდებარეობს მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, შეერთებულია რკინის გზით მერსინასთან, რომელიც ხმელთა შუა ზღვის ნაპირას მდებარეობს კუნძულ კიპროსის პირდაპირ, 30-მდე ვერსის მანძილზე ადანიდან. ადანში სცხოვრობენ ოსმალები, სომხები, ბერძნები, სირიელები და ურიები. ოსმალელ შავრაზმელებს ისევე უყვართ სომხების აკლება, როგორც რუსის შავ რაზმელებს ურიებისა. სომხების ასაკლებად შავრაზმელები წაუქეზებია რეაქციონურ ოსმალელ სამღვდელოებას.

**ოსმალელი აფიცრობა.**

ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ ოსმალეთის ჯარის მთელი აფიცრობა და გენერლობა სულ კონსტიტუციისა და ახალგაზდა ოსმალების მომხრე ყოფილან. სტამბოლის მეციხოვნე ჯარის 2500 აფიცრიდან ერთი არ მიმხრობია ფიცის გამტეხ და სულ-გაყიდულ ჯარის-კაცებს. კონტრ-რევოლიუციის უმალ ყველა გენერალი გადამდგარა სამსახურიდან. კონტრ-რევოლიუციის შემდეგ დანიშნულ სამინისტროს მხოლოდ ერთი გუბერნატორი დამორჩილებია. სტამბოლში ჯარის-კაცებს კონტრ-რევოლიუციის დროს, როგორც გაზეთები იუწყებიან, 200-მდე აფიცერი მოუკლავთ, რაკი არც ერთი აფიცერი არ მიმხრობია. ჯარის კაცებს, როგორც უკვე ვიცით, ერთი „ჩაუში" (უნტერ-აფიცერი) უფროსობდა. ჯარის კაცებს სტამბოლის მეციხოვნე ჯარის უფროსის მახმუდ-მუხტარ-ფაშის მოკვლაც ნდომებიათ. თითონ „წითელ" სულთანს გაეცა ბრძანება, რომ მუხტარ-ფაშა ცოცხალი ან მკვდარი უნდა ჩამაბაროთო. ჯარის-კაცები გაათრებულები ეცნენ თურმე მუხტარ-ფაშის სახლს, მაგრამ ვერ იპოვეს მეციხოვნე ჯარის უფროსი. იგი გერმანულ გემით გაქცეულიყო ჯერ საბერძნეთში და მერე იქიდან სალონიკში მისულიყო. ეხლა მახმუდ-მუხტარ-ფაშა იმყოფება სან-სტეფანოში კომიტეტის ჯარში.

---

12

**არჩილ.** ეს გზა უფრო საიმედოა. (კვლავ ყურს დაუგდებს სულგანაბული და შემდეგ მიუბრუნდება ფანჯარას, სადაც ამ დროს გამოჩნდება მისი მხლებელთაგანი). თქვენ მანდ დარჩით, აქვე ფანჯარასთან; დამბაჩა თუ გავარდა, იცოდეთ, გაჭირებაში ვარ და თქვენ დახმარებას ველი. გესმის?

**მხლებელნი.** დიაღ, ბატონო!

**არჩილ.** ჩადი! (მხლებელი დაიმალება. არჩილ ფეხ-აკრეფით დაივლის შიგნით შესავალ კარებებს და ყურს დაუგდებს; მერმე მივა გარედ გასავალ კარებისაკენ, ყურს დაუგდებს, გააღებს, გაიხედავს და ისევ შემოიკეტავს). არავინ არის, უდაბნოს სიჩუმეა. აქ უნდა ჩავუსაფრდე... დამეძებ და გიახელ, ვნახოთ, ვინ ვის დაასწრებს. (ყურს დაუგდებს) დაუსტვინეს, რალაც ამბავია. (მივა ფანჯარასთან, გადაიხედავს, ყურს დაუგდებს და კამობრუნდება) სიჩუმეა. ყურის წივილი თუ იყო. (შეკრთება) მოდის ვილაცა. (ყურს დაუგდებს) სწორედ! კაცის ფეხია... ის არის. (წაივლებს ხელს ხანჯალზე და გვერდზე გადადგება) არ მიმტყუნო, მარჯვენავ! (ყურს დაუგდებს) შეჩერდა. სული თუ იკრა ნადირმა... მაგრამ არა, მოდის... გამაგრდი, გულო! (კარი იღება) დადგა ჟამი! (შემოდის ნინო ტირილით, თვალებზე ხელსახოც მიფარებული).

13

**არჩილ** (შეკრთება). დედოფალი! (ხელები ჩამოუვარდება. ნინო შეკრთება, შედგება, უყურებს ცოტა ხანს და გაწქარებული წავა გასასვლელად, მაგრამ კარებთან შეჩერდება და მოიხედავს).

**ნინო.** სად ხარ აქ, არჩილ? რა სურვილმა მოგიყვანა? (არჩილ საჩქაროდ მივა ნინოსთან და აღელვებული დაუჩოქებს).

**არჩილ.** აი ჩემი სურვილი, რომელმაც ყველაფერი დამავიწყა (ნინო შეკრთება და ოდნავ უკან დაიხევს).

**ნინო.** ეგრე ნუ! რად შვრები მაგას?

**არჩილ.** ეგ ცრემლები ჩემი მიზეზით არის... მაპატიეთ! აპატიეთ უგუნურს გატაცება ოცნებით! ჩემმა დაბრმავებამ სიყვარულისაგან დიდი მწუხარება და ტანჯვა მოგაყენათ, მაგრამ იცის ღმერთმა, ჩემ გულში სულ სხვა იყო. შევცდი, სხვა ფრივ ვიფიქრე და დავისაჯე კიდეცა, ნება მიბოძეთ, დედოფალო. ეგ ხელები სინანულის ცრემლებით დაგიბანოთ. (ხელებზე ენდა კოცნა).

**ნინო.** არა, არა, მაგას ნუ! (ხელს მოარიდებს და ოდნავ უკან დაიხევს).

**არჩილ.** მაშ აღმითქვით, რომ ჩემ მტრობას არ გაივლებთ გულში; მითხარით, რომ მაპატიეთ.

**ნინო.** მიპატიებია, არჩილ.

**არჩილ.** გმადლობთ, დედოფალო! (დგება).

**ნინო.** მხოლოდ ერთის პირობით, იქვი მაქვს ბნელი განზრახვის: უნდა გახვიდე ახლავე ამ სახლიდან და ფიცი მომცე, რომ ლევანის მოკვლას არ განიზრახავ შენს დღეში.

**არჩილ** (ყოყმანობს). გამწირეთ, დედოფალო.

**ნინო.** ვუცდი, არჩილ, გასვლასა. (განზე დადგება და გზას აძლევს კარებისაკენ)

**არჩილ.** იყოს თქვენი ნება. (თავს მოუხრის და მივა ფანჯარასთან). დედოფალო! საშინელი წყვდიადია ჩემს გარშემო, მხოლოდ ერთგან ბჟუტავს ჩემთვის მკრთალი ნათელი. იმ ნათელზე ვლოცულობ, გევედრებით არ დაიშუროთ იგი უბედურისათვის.

**ნინო.** სანამ იგი იქნება ნათელი ჭეშმარიტებისა.

**არჩილ.** ამინ! (გაბრუნდება და გადახტება ფანჯარაზე. ნინო განცვიფრდება და მერე საჩქაროდ გავა. გამოდიან შიგნიდან ლევან და დარეჯან)

14

**ლევან.** რა არის საოცარი?

**დარეჯან.** ძლევა-მოსილის ეგეთი სისუსტე,

**ლევან.** თავის თავზე გაუფლება იშვიათი ხვედრია ვაჟკაცობისა, დარეჯან.

**დარეჯან.** საიდუმლოს გამხილება ქალსაც კი ეზრახვის.

**ლევან.** არის საიდუმლო, რომლის დაცვა შეუძლებელია, ვით ცეცხლ-წაკიდებულ ნალმისა.

**დარეჯან.** რად იკიდებ უბრალოდ ცეცხლსა მერე?

**ლევან.** არ იცი, დარეჯან, რა ზარი აქვს სამართლიან საყვედურის ხმას, როცა იგი შენ გულშივე იბადება.

**დარეჯან.** და როცა განზრახ აზვიადებ...

**ლევან.** არა, არა, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, ნურას დროს.

**დარეჯან.** ნურც ვიფიქრებთ. (შემოდის ყორდანია)

15

**ლევან.** რა იყო?

**ყორდანია.** სვიმონ გურიელი მოიყვანეს, დიდებულო მეფე.

**ლევან.** როგორ, რა ამბავია?

**ყორდანია.** გაქცევა დაუპირებია: ღამე გამოსულა საპყრობილედან და დაბურულ ტყისათვის მიუცია პირი. იქ დამზადებული ჰყოლია რამდენიმე ცხენოსანი. საქმე წასაგებად მიიწურა თურმე, მაგრამ, საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს შეეფეთნენ იქ აფაქიძე და გაბუნია თავიანთ მხლებლებით და შემოერტყნენ გარშემო. დიდად გამოიდეს თურმე მტრებმა თავი, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ; ჩვენებმა სძლიეს; ბევრი მათგანი დასჭრეს და დახოცეს, ხოლო სვიმონ შეიპყრეს და წამოიყვანეს.

**ლევან.** სად არის ახლა?

**ყორდანია.** აქ გახლავთ, სასახლის ეზოში, დიდებულო მეფე.

**ლევან.** შემოიყვანონ! (ყორდანია თავს დაუკრავს და გავა).

**დარეჯან.** დიდ ფათერაკს შეგვამთხვევს ეგ კაცი, ლევან.

**ლევან.** მეტად დაუდეგარია.

**დარეჯან.** სხვა უშენო მალე გაუთავებდა მაგას საქმეს, მაგრამ შენ, რასაკვირველია, ვერ გაუბედავ. (ისმის ხმაურობა).

**ლევან.** მოჰყავთ... დარეჯან, შენი აქ ყოფნა აღარ ივარგებს.

**დარეჯან.** მივდივარ, მივდივარ! (საჩქაროდ შევა შიგნით. შემოდიან: სვიმონ, პაატა, აფაქიძე, გაბუნია და ყორდანია. სვიმონ და ლევან დაღვრემილნი ცოტა ხანს უყურებენ ერთმანეთს).

16.

**ლევან.** ბედი არა გწყალობს, ძვირფასო სიძე ბატონო: მალაყები არა გშველის.

**სვიმონ.** პატიმართან გულ-მაღლობა ჯაბანის წესია.

**ლევან.** ვითომ?! ხომ არა გნებავს ხმალში გამოვიდე შენთან საბრძოლველად?! ბოდიშს ვიხდი; მამის მკვლელს სამეგრელოს მეფე თავს ვერ გაუყადრებს.

**სვიმონ.** მამის მკვლელი მაღალ ღმერთს გასცემს პასუხსა. ამ ქვეყნად ჩემ სწორს არა აქვს უფლება მსაჯულად დამიდგეს.

**ლევან.** ამ ქვეყნად შენისთანა სულ-მდაბალის სწორი არავინ არის. საზიზღარი საქციელი შენი აუფლებს ყველას იძიოს შენგან უმანკო სისხლი მამიშენისა, ცად და სოფლად მღაღადებელი. მაგრამ სიკვდილით დასჯა შენი საკმარისი არ არის. შენ ცოცხლად დალპები ორმოში, ის იქნება შენი შესაფერი სასჯელი.

**სვიმონ.** (გულმოსული) გაათავე ზღაპარი, ყბედო მესტვირე?

**ლევან.** ხმა ჩაიწყვიტე! ეხლავე სულს გაგაფთხობინებ, ავაზაკო! (წასდგამს ფეხს).

**სვიმონ.** (მიიწევს) მოდი, მოდი, გამოგლადრო ეგ ყელი! ეხლავე დაგახრჩობ ამ ცარიელ ხელებითა! (გაექანება, მაგრამ დაიჭერენ).

**ლევან.** შეჰკარით, გაათრიეთ აქედან! მოჰკალით მხეცი, ეგა! ახლავე ჩამოახრჩეთ, ავაზაკი ეგა! გიბრძანებ შენ, პაატა, ახლავე შეუდექ საქმესა. (სვიმონ მიჰყავთ კარებისაკენ; შემოვარდება მარიამ და დაუჩოქებს ლევანს).

17.

**მარიამ.** ლევან, მე მაპატიე, ღვთის გულისათვის (სვიმონ გაჰყავთ).

**ლევან.** (პაატას) ამ წამსვე, ჩემ თვალ წინ, მოუღეთ ბოლო მაგ შეჩვენებულ მამის მკვლელისა. (პაატა თავს დაუკრავს და გავა).

**მარიამ.** ლევან, გემუდარები: ნუ თუ შენ დის ვედრებას არ შეისმენ?! (ხელს დაუჭერს. ლევან იშორებს).

**ლევან.** მომშორდი!

**მარიამ.** არა, ლევან, ვერ მოგშორდები.

**ლევან.** მომშორდი მეთქი, ეგ შენი ქმარი აღარ არის! (მოიშორებს და დაიწყებს აღელვებული სიარულს. მარიამი წამოდგება).

**მარიამ.** ცოლობით არა, როგორც ადამიანი გევედრები, ნუ იღებ კისრად სისხლს!

**ლევან.** მამის მკვლელის სისხლის დანთხევა მადლია.

**მარიამ.** ლევან, ჯერ კიდევ არის დრო. მოიბრუნე გული!

**ლევან.** (შეჩერდება) როცა მოხუცებული მთავარი გასწირეთ, მაშინ უნდა გეფიქრნათ, რომ ეგეთს დანაშაულს შენდობა არა აქვს (იწყებს სიარულს).

**მარიამ.** ლევან, გული დამითუთქე... მაშ, გამიგონე: მე რომ უბრალო ვარ, ეგ ღმერთმა იცის და არც იმიტომ გევედრები, რომ ქმრის სიცოცხლე დავიცვა: ის დიდიხანია მკვდარია ჩემთვის; მე შენთვის ვზრუნავ: შენ ნება არა გაქვს, სიკვდილით დასაჯო.

**ლევან.** როდის იყო, რომ ეგ უფლება ჩამომერთვა?!

**მარიამ.** გეუბნები, რომ შენ იმას სიკვდილით ვერ დასჯი.

**ლევან.** შენ თუ დამიშლი!

**მარიამ.** დაუკვირდი შენს თავს და მიხვდები, რამ უნდა დაგიშალოს.

**ლევან.** (დაჯდება) ვერ მიმხვდარვარ. შენ მიბრძანე.

**მარიამ.** შენ იმაზე მცირე დამნაშავე არა ხარ: შეცოდება შენი მთათა უმძიმესია: სხვისი გაკიცხვა რა უფლებით შეუძლიან ისეთს გულბნელს, რომელიც თავის ბიძის, თავის აღმზრდელის ცოლს შეიყვარებს?!

**ლევან.** (წამოდგება) სტყუი!

**მარიამ.** არა ვსტყუი; მაგვარ წყრომით ვერ შემარყევ: ამ თვალებით დავინახე ერთმანეთის ხვევნა თქვენი და უნამუსო ტლაშა-ტლუში. (ლევან ტანჯვით თავს დახრის). სვიმონმა მოჰკლა თავისი მამა, ვინ იცის, ერთის წამის გულმოსულობით გონებიდან გამოსულმა, შენ კი შენს საკუთარს ბიძას, შენთვის თავდადებულს, შენზე მლოცავს ყოველ ღამ ჰკლავ შენ გულში სინიდისის აუშფოთებლად. ის შესცდა, მაგრამ იტანჯება სინანულის ცეცხლით: ათასი სული რო ჰქონდეს, ათასსავე ანაცვალებს თავის მამას, რო შეიძლებოდეს მისი გაცოცხლება; შენ კი ეპარები ყოველ ღამ შენ აღმზრდელს, მამასავით შენზე ნაჭირნახულევს, ჰპარავ, რაც კი აქვს უძვირფასესი საუნჯე,

## სპარსეთის ამბები

**ხმა შაჰის მოკვლაზე.**

თეირანიდან ატყობინებენ „ბაქუ“-ს: „ეს-არის გავრცელდა ხმა, ვითომ შაჰი მოჰკლესო. ეს ხმა, ჯერ შემოწმებული არაა“.

**რა გუნებაზეა შაჰი.**

ოსმალეთის კონტრ-რევოლიუციამ ძლიერ გაახარა შაჰი. ოსმალეთის რეაქციის გამარჯვებით ფრთა შესხმული შაჰი აცხადებს, რომ თითონ ალაჰმა (ღმერთმა) დასაჯა ოსმალები, რომლებმაც დიდი ცოდვა ჩაიდინეს და წმინდა შარიატი დაარღვიეს მით, რომ კონსტიტუცია დააწესესო. კონსტიტუცია მუსულმანთა ქვეყანაში არის ღვთის გმობაო.

სტამბოლში მომხდარმა სისხლის ღვრამ ჭკუა უნდა ასწავლოს სპარსეთის ხალხს, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში აიცდენს თავიდან ღვთის რისხვას, თუ გონზე მოვა და დაემორჩილება ღვთის მოადგილეს ქვეყანაზე—შაჰსაო. შაჰი ისეა გახარებული, რომ ამ უკანასკნელ დღეებში თავის მეგობრებით სულ პიკნიკებსა ჰმართავს ბაღეშაჰის მიდამოებში.

მალე ისევ ტირილად შეეცვლება ეს სიხარული შაჰინ-შაჰსა.

**ეინუდ-დოვლეს ვერაგობა.**

ბაქოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ თავრიზიდან: „თუმცა შაჰმა ინგლისისა და რუსეთის ელჩების მეცადინეობით უბძანა ეინუდ-დოვლეს, რომ მას სამხედრო მოქმედება შეეყენებინა, ეინუდ-დოვლე 9 აპრილს საღამოს მაინც მოულოდნელად დაეცა რევოლიუციონერებს, მაგრამ სათარ-ხანმა დიდის ზარალით უკუ აგდო ეინუდ-დოვლეს ჯარი. მეორე დილას ეინუდ-დოვლე ხელახლად დაეცა თავრიზს, მაგრამ კიდევ მარცხით გათავდა მისი იერიში.

ინგლისისა და რუსეთის ელჩებს შერცხვათ ეინუდ-დოვლეს ასეთის ვერაგობისა“.

## პატარა ფელეტონი

### დარდიმანდი

(ვუძღვნი ზოგიერთ მეგობარს)

ოდეს ვქეიფობ და ღხინს ვეძლევი,
ჭიქას ვჯახებ მეგობრის ჭიქას, —
მაშინ ფრთასა ვშლი, თავს მეფედა
 ვგრძნობ,
ენა მეჩვრება ვარ, ვამბობ გრძელ სიტყვას!..
 ქეიფი ვწიოთ,
 ღვინო დავლიოთ
 აწმყო-წარსულზე
 დარდი გავლიოთ!

—

აბა რას ჰქვიან თავისუფლება,
დღეს მისი თქმაც კი მეჩოთირება!
ბახუსის ტაღდა გულ-მკერდს ეხლება,
იგი მაღხენს და მეც მეღხინება!
კონსტიტუცია თუ პარლამენტი,
ვფიცავ ტიკჭორას, ჩვენთვის არს მეტი!
მედგრად ვებრძოდი, ზურგს მომხვდა
 კეტი
და თავს დამასხა ბნელმა და რეტი!
 ქეიფი ვწიოთ,
 ღვინო დავლიოთ,
 აწმყო-წარსულზე
 დარდი გავლიოთ!

—

შემდეგ გავიდეთ, გავინავარდოთ,
ტურფა ქალები გადმოვიბიროთ!
ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა დაფქვას,
ჩვენ სხვისი რჩევა არად მივიღოთ!
 აბა, ყანწით
 ღვინო დავლიოთ
 და მით წარსულზე
 დარდი გავლიოთ.

—

მსურს ღხინს მივეცე და კიდევ ვღხინობ,
სხვის კვნესა-ტირილს მივიჩნევ არად!
დაე, იზრუნოს სხვამ მომავალზე,
მე კი ალავერდს გადმოვცლი მარად!
 რას ჰქვიან ერი,
 მე დღესა ვმღერი!
 სადღეგრძელო სთქვი—
 შენზეა ჯერი!

—

დღეს ჩვენ ქუდი ვკრათ ჭერსა მოღხენით
სხვამ უთხრას ნანა თავისუფლებას;
მოკვდებით, წავალთ, დავიხოცებით,
ისევ ღორები შეგვასხამენ ქებას!
 მაშ, ისევ ძმებო,
 ღვინო დავლიოთ;
 ცხოვრების დღენი
 ღხინით გავლიოთ!

**გარდანქეშანი.**

## რუსეთი

**✦ ვინ არის შალიაპინი.** „კახპ.“ სიტყვით, ერთ დედაკაცს მელნიკოვას, მოსამსახურედ ნამყოფს, განუცხადებია, რომ გამოჩენილი მომღერალი შალიაპინი ჩემი უკანონო შვილია, იგი პატუტოვისგან მეყოლა. შალიაპინმა თავის გვარი ერთ «გოროდოვოისგან» მიიღო, რომელმაც იგი იშვილა. მელნიკოვა თხოულობს ჩემ ქალს მუსიკალური განათლება მიეცეთო, რადგან კარგი ხმა აქვსო.

**✦ ხოლერა სათათბიროში.** რუსეთის გაზეთების სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს მებუფეტე ხოლერით გამხდარა ავად. ბუფეტი დაუხურავთ.

**✦ იაპონია და მახლობელი აღმოსავლეთი.** პეტერბურგში ხარბინიდან დეპეშები მიუღიათ, რომ მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარმა ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონელებზედ. იაპონელები აძლიერებენ მანჯურიის ჯარს. ახლად მოსულ უცხოელებს თვალყურს ადევნებენ.

**✦ არჩევნები ოდესაში.** ქალაქ ოდესის თვითმართველობის არჩევნები უკვე დამთავრდა. «ჭეშმარიტმა რუსებმა» და გენერალმა ტოლმაჩევმა, რომლებიც კარგა ხანია ამისთვის ემზადებოდნენ და არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, გაიმარჯვეს. «რუსკ. სლ.» კორესპონდენტი არჩევნებს ასე აგვიწერს: „ქალაქის საბჭოს სადგომის ახლო ხმაურობაა, ყვირილია. ვიღაცას სცემენ. ეს „ჭეშმარიტ რუსების“ „აგიტაციაა“. „მიტა შენი კანდიდატების სია... დაიჭი ნამდვილი სია“, ამომრჩეველს ჯიბეებს უსინჯავენ. საბჭოს სადგომთან ავტომობილები მოდიან. ქალაქის თავის მოადგილეს და «ჭეშმარიტების» მეთაურებს ავტომობილებიდან მთვრალი ხალხი გადმოჰყავთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ატყდა ერთი ყვირილი; დაიჭით კრამოლნიკი, დაიჭით! დაჭერილია ექიმი დორიზო. დორიზო პროტესტს აცხადებს, მაგრამ ამაოდ. მას პროგრესიულ ბლოკის კანდიდატის სიას ართმევენ და საპოლიციო უბანში ჰგზავნიან. ყოველ მხრიდან ყვირილი, ხმაურობა ისმის. აქა-იქ სცემენ კიდეც. საღამოს 6 საათზე არჩევნები თავდება. გამარჯვებული „ჭეშმარიტი რუსები“ სასმლის დუქნებისაკენ მიდიან. კარგა შუაღამემდის ისმის მათი ყიჟინი. კარგი სურათია, არა?

**✦ მთავარი საექიმო საბჭო.** როგორც ვიცით, სატუსაღოებში და ციხეებში ზოგიერთ ავადმყოფ ტუსაღებს ციხის საავადმყოფოებში ბორკილებით ამყოფებენ, რაიც ავადმყოფებზე, რა თქმა უნდა, ცუდად მოქმედებს. ტუსაღების ასეთ მოქცევაზე ექიმები პროტესტს აცხადებენ ხოლმე. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ექიმებს უარი განუცხადებიათ, ბორკილიან ტუსაღებს არ მივიღებთო. სატუსაღოების მთავარი გამგეობა საექიმო საბჭოს შეეკითხებია, ავადმყოფებს ხომ არას უშლის ბორკილებიო. „ნოვოე ვრემია“ სიტყვით მთავარ საექიმო საბჭოს შეუტყობინებია, რომ ბორკილები ჯანსაღი ადამიანისათვის ცუდია და მით უმეტეს ავადმყოფისათვისაო.

**✦ თვითმკვლელობა.** გასულ კვირაში პეტერბურგში თავი მოუკლავს 41 კაცს. თვით-მკვლელობის მიზეზი მეტწილად უმუშევრობა ყოფილა.

**✦ დაჯარიმება.** „რუსკ. ვედ.“ სიტყვით ადმინისტრაციას გაზეთი «რუსკ. სლოვო» 2,000 მანეთით დაუჯარიმებია. მიზეზი—ეკატერინოსლავიდან გამოგზავნილი კორესპონდენციაა.

**✦ სტოლიპინის გადადგომა.** რუსეთის გაზეთების სიტყვით პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი სამსახურიდან დგება. ამის მიზეზი—საზღვაო შტაბის შტატების დამტკიცებაა. ზ. ლმწ. ფეს საზღვაო შტაბის შტატები უნდა დაემტკიცებინა, როგორც სათათბიროსაგან მიღებული კანონ-პროექტი, მაგრამ ამაზე უარი სთქვა, სათათბიროს ნება არა ჰქონდა ეს კანონ-პროექტი მიეღო და განეხილაო.

**✦ საზღვაო შტაბის შტატები.** როგორც ვიცით, საზღვაო შტაბის შტატების კანონ-პროექტის სახელმწიფო სათათბიროში შეტანამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს გადაყენებას უპირებდნენ. გაზეთი „რეჩი“ სწერს, რომ ამ კანონ-პროექტს ხელმწიფე დაამტკიცებს, მაგრამ არა როგორც სახელმწიფო სათათბიროსგან და საბჭოსგან მიღებულ კანონ-პროექტს. მთავრობა ამასთანავე გარმარტავს, რომ მთავრობა და სათათბირო შესცდნენ რადგან ხელმწიფე-იმპერატორის უფლებაში ჩაერივნენო.

**✦ სახელმწიფო სათათბიროს „შრომის ჯგუფის“ გადაწყვეტილება.** სახელმწიფო სათათბიროს „შრომის ჯგუფს» გადაუწყვეტია ყ ვ ელ თვე თავის ამომრჩევლებს და საზოგადოდ მთელ ქვეყანას თავის მუშაობა გააცნოს.

---

სტკბები ქურდულად შენის უნამუსობით და ურცხვად ლაღობ, ხაროზ.

**ლევან.** (ტანჯვით) არა! სცდები მეთქი.

**მარიამ.** არ ვსცდები! კარგად ვხედავ, რა მეფურის გულუხვობით უხდი დავალებას: გულში დანას უტარებ, პირში კი ალაქუცები, თვალებს უხვევ უკანასკნელ ქურდბაცაცასავით, რომელსაც მაგისთანა საქციელისათვის შენ თვითონ ხელებს დასჭრიდი და თვალებს დასთხრიდი. ჰო! დიდება შენს კეთილსინიდისიერებას, შენ მართლმსაჯულებას! წადი, უბრძანე, დიდებულო მსაჯულო, წამება ბრალდებულისა: გააბრწყინე შენი ტახტი სათნოებით! დეე, მოეფინოს ქვეყანად სხივი შენის გონიერებისა და ნათელი შენის სამართლიანობისა! გაიგონ, რა სასტიკი მსაჯული ხარ შენის თავისა და მოწყალე და ლმობიერი სხვის მიმართ!

**ლევან.** (ჩაწყვეტილის ხმით, ხელს დაუქნევს). კმარა, კმარა, მარიამ! მანდამდის არ მისულა საქმე და არც მივა ამიერიდან არასდროს; მოულოდნელად დამეცა მახვილი გულის წყლულსა და გადმოხეთქა შერყვნილ გრძნობათა ბალღამმა. სასტიკად მომექეც, მაგრამ მაინც გმადლობ (თავისთვის ტანჯვით). ჰოო, რა საშინელ ტკივილსა ვგრძნობ, როგორის ტანჯვით იწმინდება გრძნობა ჩემი! (დაღვრით). ნუ გიკვირს: ბუნება ბიწიერი დაუკლებია ჩემთვის მშობელსა, ხორცი ავი, სული ბოროტი, თვალი ხარბი და მცოდველი (აღელდება). მაგრამ წამოდი აქედ! (ხელს დაუჭერს და მიჰყავს). კარგად უნდა გამოვიძო მძინებული სინიდისი, შემიხსნა სულის ბორკილი. (ჩამოიღებს კედლიდან მათრახს). ძველად ცოდვილნი თვით იცემდენ მათრახს; დაიჭი ხელში! (აძლევს მათრახს).

**მარიამ.** რა გწადიან?

**ლევან.** წესიერად მონანიება. (შემოდის პაატა).

18.

**პაატა.** დიდებულო მეფევ! რა წესით უნდა დაისაჯოს დამნაშავე?

**ლევან.** ქრისტეს მცნების წესითა!

**პაატა.** ვერ მიმხვდარვარ, დიდებულო მეფე.

**ლევან.** სიცოცხლე აჩუქა დამნაშავეს: წაიყვანეთ და კვლავ საპყრობილეში ჩააგდეთ. (პაატა გაკვირვებული იყურება). არ გესმის?

**პაატა.** მესმის, დიდებულო მეფე! (თავს დაუკრავს და გავა).

**ლევან.** რა ძნელად ესმით, რის გაგებაც არ ეპაშნიკებათ.

**მარიამ.** გმადლობ, ლევან! გმადლობ, ძმაო!

**ლევან.** (გაჯავრდება) ბრაზსა მგვრი ტიტინით. (შემოდის გიორგი)

19.

**ლევან.** მოდი, ბიძაჩემო, მიდი გულზე მიგიკრა! მაგრამ მოიცა! (ხელით ანიშნებს შეჩერებას, თითქო რაღაც მოაგონდათ). ვიცი, მისაყვედურებ, რად ვაპატიე დამნაშავეს. (თავს ჩაკიდავს და ფიქრობს).

**გიორგი.** არა, ჩემო ძმისწულო: ეს დღე ჩემთვის ბედნიერია, რადგან კვლავ ვხედავ ჩემი მეფის დიდსულოვანობას.

**ლევან.** კვლავ ჰხედავ! (იდებს თავსა) მას სჩანს, სხვიმის მე სულმდაბალიც ვყოფილვარ?!

**გიორგი.** არა, ლევან, ეგ როდისა ვსთქვი?!

**ლევან.** (წყრომით) დაბერდი, ჭაღარა მოგერია და ვეღარ იმორჩილებ ენასა.

**გიორგი.** ბარემ მომკალ!

**ლევან.** (კარებს უჩვენებს). წადი აქედან! მომშორდი!

**გიორგი.** რო მომკლა, ხმას არ გაქცემ, მაგრამ რად მამცირებ, ეგრე, ლევან?!

**ლევან.** ხმა თუ გამეცა, ერთი სიტყვით... წადი მეთქი! (კარს უჩვენებს. შემოვარდება დარეჯან).

20.

**დარეჯან.** რა იყო, რა დაშავა, ლევან, გენაცვა?

**ლევან.** (თრთის) ორივენი მომშორდით! ილაჯი აღარ არის თქვენგან! ეხლავე წადით აქედან! (დარეჯან შეკრთება).

**გიორგი.** (გულნატკენად) ლევან, მეც კაცი ვარ: თავი მეც მიყვარს.

**დარეჯან.** არა, არა, წავიდეთ, წავიდეთ! (ხელს დაუჭერს და გავლენ).

**ლევან.** (მიაძახებს) თვალით არ დამენახოთ! (დაეშვება მოწყვეტით სკამზე)

**მარიამ.** მხნედ იყავ, ლევან, გენაცვა ღმერთი მოწყალეა!

**ლევან.** (წამოვარდება). შორს ჩემგან, ჯალათო! (შიგნით კარებს უჩვენებს). გაეთრიე შენც აქედან! (მარიამ სწრაფად შედის ოთახში). დაიღუპენით ყველანი! (სასოწარკვეთილია) ჰოო! რა ძნელი ყოფილა გულში ჩაქსოვილ დამპალ ძაფთა ამოგლეჯა! (დაემხობა მაგიდაზე და სახეს დამალავს ხელებში. წყნარად შემოდის დარეჯან და მიდის ლევანისაკენ, მაგრამ შეამჩნევს სასოწარკვეთილებას და გახარებული დაბრუნდება და სწრაფად გავა).

**ფარდა.**

(შემდეგი იქნება)

---


ხონში ქირავდება აბრეშუმის ამოსაღები ქარხანა და პარკის სახჩობი და სახმობი ფარდული სანოძისა.

პირობების გაგება შეიძლება ქუთაისში ონისიმე ოტიას ძე ვარდოსანიძესთან (ფოსტაში) და ხონში კბილის ექიმ ქ-ნ სანოძესთან, საკ. ეახლი. (10—კვ.—8)

6 აპრილს გზაზე რეყიდან პუშკინის ქუჩამდე დაიკარგა ნაჩვევარი 500 მანეთიან საკრედიტო ბილეთისა, № ... 161713. მპოვნელს ვთხოვთ მოიტანოს მოლაპე ჯილდოს. ქალუბული ბაზარი, ს. № 13, ონიკიძე. სახელმწიფო ბანკი ან სხვა ადგილობრივი ბანკები. (3—200—1)

სამკურნალო
გარედან მოსიარულეთათვის
ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.

რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—33)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—65)

### განცხადებანი

ისყიდება საბურთალოზე

საუკეთესო ადგილზე სახლები ოთხი თვალი დუქანი თავის ოთხი ოთახით, მაღლა ორი ოთახი; ადგილის ზომა 300 საჟენი; შიგ კარგი გომი, პატარა ბაღჩა თავის კარგი ფიცრის ღობით, ორი სარაია; ერთი საზაფხულო სარდაფი, შიგ არის კარგი დუქანი სასმელისა კარგი მოწყობილობით. იქვე იკითხეთ

(5—83—4) **ნიკო ბაიაძე.**

გაფრთ ხილება

რადგან დღემდე ჩვენი ეტიკეტების მსგავს ყალბ ეტიკეტებს ამზადებენ თავიანთ დაბალ საქონლის გასავრცელებლად. კოლოფებზე ხმარობენ იმავე ფერსა და მარკას და ამით აბათილებენ ჩვენ მაღალ **ხარისხოვან პაპიროსებს:**

„სიმპატიას“ 10 ცალი 5 კაპ. № 8 10 ცალი 5 კაპ.

აგრეთვე ჩვენი ფირმის სხვა პაპიროსებს, ამიტომ ვთხოვთ ჩვენ მუშტარს, ყურადღება მიაქციოს **საქარხნო მარკას და გვარს**

Н. И. Бозарджянцъ съ С-ми.

(10—ნახვ.—4)

I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ I მანეთიდან

ხელის მაშინები 25 მანეთიდან

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოვზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაყ.—7)

ამიერ-კავკასიის საქარხნო
საწყობი

1897 წ. 1908 წ. 1888

ამ-ზის პროვოდნიკისა

ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 4.

საამშენებლო შენობისთვის ჰყიდის
პროვოდნიკ-ლინოლეუმს

საუკეთესო დასაგები იატაკებისთვის

**ლინოლეუმი მაგიეროზასა სწევს:** პარკეტისას, იატაკის შეღებისას, მოზაიკისას, ხალიჩებისას, ფარდაგებისას, კლიონკისას და სხ.

**ლინოლეუმი სჯობია** იატაკის ყოველ გვარ დასაგებს იმით, რომ ინახავს იატაკს სინესტისა და სიცივისაგან, წყალს არ უშვებს, არ ხეხავს, არა ფუჭდება მჟავე სითხისაგან, ხმაურობას არ უშვებს, ადვილად იწმინდება და ყოველთვის ლამაზია.

ლინოლეუმს, როგორც იაფ დასაგებს, სიმკვიდრით, მოხერხებულობით და სილამაზით პირველი ადგილი უჭირავს იატაკის დღემდე არსებულ დასაგებებში, **რასაც მოწმობენ საჩუქრები და ქების ფურცლები, მიღებული ამხანაგობის მიერ როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის გამოფენებზე.**

ხარჯთ-აღრიცხვა და უზორები ლინოლეუმისა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისათანავე.

(2)